



თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 275

„05“ აპრილი 2017 წ.

ქ. თელავი

„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 18 ნოემბრის №1493 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 18 ნოემბრის №1493 ბრძანებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დანართი N1-დან ამოღებულ იქნას (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 16700000, სტრ.N8) „ტრაქტორები“ შესყიდვა სავარაუდო ღირებულებით 110000 ლარი. შესყიდვის საშუალება გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. დაფინანსების წყარო ადგილობრივი ბიუჯეტი;
2. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დანართი N1-ს დაემატოს (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 18300000, სტრ.N9) „ტანსაცმელი“ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 450 ლარი. შესყიდვის საშუალება გამარტივებული შესყიდვა. დაფინანსების წყარო ადგილობრივი ბიუჯეტი;
3. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დანართი N1-ს დაემატოს (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 34300000, სტრ.N37) „ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისთვის“ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 1300 ლარი. შესყიდვის საშუალება კონსოლიდირებული ტენდერი. დაფინანსების წყარო ადგილობრივი ბიუჯეტი;
4. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დანართი N1-ში (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 45400000, სტრ.N59) „შენობის დასრულების სამუშაოები“ შესყიდვის სავარაუდო

ღირებულება ნაცვლად 200000 ლარსა განისაზღვროს 190000 ლარით. შესყიდვის საშუალება ნაცვლად ელექტრონული ტენდერის განისაზღვროს გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. დაფინანსების წყარო ადგილობრივი ბიუჯეტი;

მუხლი 2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

გამგებელი



ალექსანდრე შათირიშვილი